საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 17-1/8855
05/09/2023

8855-17-1-2-202309051044

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრს

ბატონ გიორგი ამილახვარს

წინადადება

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ბავშვის უფლებათა შესახებ ცოდნის ინტეგრირების თაობაზე

(შემუშავებულია და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად)

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველმა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შეაფასა.[1] ამავდროულად, ამ პროგრამის განმახორციელებელი საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეფასდა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ადამიანის უფლებათა საკითხებში სისტემური ტრენინგების არსებობის საკითხიც.

საქმის გარემოებათა სრულყოფილი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც პროგრამის შემუშავების საფუძველია, არ მოიცავს მოდულს, რომლითაც სტუდენტები ადამიანის უფლებების, ბავშვის უფლებების ან დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ მიიღებენ შინაარსობრივ ცოდნას.

ამავდროულად, პროგრამის დარგობრივი მოდულების ჩამონათვალში არსებული მოდული „კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში“ მოქალაქეობის სწავლების მხოლოდ მეთოდოლოგიურ ასპექტებს მიემართება. პროგრამის განმახორციელებელ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ამ მოდულის სწავლებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის არ აქვთ შემუშავებული ადამიანის უფლებათა საკითხებზე, განსაკუთრებით ბავშვის უფლებათა შესახებ აქცენტირებული სისტემური ტრენინგ-პროგრამები.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ყოველივე ზემოაღნიშნული არ შეესაბამება ბავშვის განათლებაში ჩართული პირებისთვის ადამიანის უფლებათა სწავლების თაობაზე გაეროს მიერ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს.

[1] „აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის 192/ნ პირველი მუხლით დამტკიცებული დოკუმენტი; 2023 წლის 19 ივნისის 6962/23 მოხსენებითი ბარათი.

ფაქტობრივი გარემოებები

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელი აღმზრდელ-პედაგოგს ეხმარება და სააღმზრდელო ფუნქციებს ახორციელებს.[2] ამავდროულად, აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად, სავალდებულო მოდულებში არ არის ადამიანის უფლებათა, ბავშვის უფლებათა ან დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემისკენ მიმართული კურსი.[3]

საყურადღებოა, რომ აღმზრდელის პროფესიული სტანდარტის თანახმად, ამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა სრული ზოგადი განათლების ქონაა ხოლო მისი დასრულების შემდეგ, პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე.[4] ამასთან, აღმზრდელის პროფესიული სტანდარტის თანახმად, იგი ხელს უწყობს „...ბავშვებს შორის განსხვავებულობის პატივისცემას...სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და თანასწორობას.“[5]

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული პროგრამით დამტკიცებული დარგობრივი მოდულების ჩამონათვალშია „კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში.“[6] მისი შინაარსის ანალიზი მიუთითებს, რომ იგი მოიცავს მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების სწავლების მეთოდოლოგიებისა და სტრატეგიების, ამავდროულად, მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისკენ მიმართული აქტივობების დაგეგმვა-ჩატარების თაობაზე სტუდენტისთვის ინფორმაციის გადაცემას.[7] ამდენად, მოდულის დასრულების შემდეგ, პირს შეუძლია „...კულტურული და მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების თავისებურებათა განსაზღვრა, მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვა, შექმნა და განხორციელება.“[8]

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ზემოხსენებული მოდულის სწავლებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებს არ გაუვლიათ ტრენინგები ადამიანის უფლებათა საკითხებში.[9] ერთ-ერთი სასწავლებლის მითითებით, მოდულის განხორციელებამდე, სწავლის შედეგების

---

[2] „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

[3] „აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის 192/ნ პირველი მუხლით დამტკიცებული დოკუმენტის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

[4] იქვე, მე-4 და მე-5 მუხლები; „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მესამე პუნქტი.

[5] „ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტის“ პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 18 სექტემბრის №594 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ის 7.3. და 7.4. ქვეპუნქტი; „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

[6] „აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის 192/ნ პირველი მუხლით დამტკიცებული დოკუმენტის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის 22-ე ქვეპუნქტი.

[7] იქვე, დანართი N2 პუნქტი 22.

[8] იქვე.

[9] გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის 04 ივლისის 7680/23 წერილი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის 02 აგვისტოს 9163/23 წერილი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის 04 ივლისის 7737/23 წერილი; ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2023 წლის 31 ივლისის 9023/23 წერილი; კოლეჯ „ფაზისი“-ს 2023 წლის 09 აგვისტოს 9544/23 წერილი; კოლეჯი „ახალი ტალღა“-ს 2023 წლის 28 ივლისის 8888/23 წერილი.

მიღწევისა და შეფასების სათანადოდ დასაგეგმად მასწავლებლებმა მათთან არსებული ბავშვის უფლებათა ცენტრის ბაზაზე გაიარეს ტრენინგები.[10]

სამართლებრივი შეფასება

„ბავშვის უფლებათა შესახებ" გაეროს კონვენციის თანახმად, ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს მასში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებისკენ.[11] განათლების იდენტურ მიზანს ამკვიდრებს ბავშვის უფლებათა კოდექსიც.[12]

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მითითებით, კონვენციაში განმტკიცებული განათლების მიზნებისა და ღირებულებების რეალური დანერგვა შეუძლებელია თუ პირები, რომლებმაც უნდა გადასცენ, წაახალისონ და ასწავლონ ეს ფასეულობები, თავად არ განასახიერებენ ამ ღირებულებებს და დარწმუნებულნი არ არიან მათ მნიშვნელობაში.[13]

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს ბავშვის განათლების პროცესში ჩართული ყოველი პირისთვის კონვენციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტში ასახული პრინციპების წამახალისებელი ტრენინგ პროგრამების შემუშავებასა და ჩატარებას.[14] ამავდროულად, ხსენებული ორგანო მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა სწავლება სკოლამდელი განათლების ნაწილიც უნდა იყოს და განმარტავს, რომ ამ პროცესში ჩართული მასწავლებლებისთვის ბავშვის უფლებათა საკითხებში სისტემური ტრენინგების ჩატარება აუცილებელია.[15]

„დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ" ევროპის საბჭოს ქარტიის თანახმად, სახელმწიფოებმა ადამიანის უფლებათა შესახებ და დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ ცოდნა პროფესიული განათლების პროგრამებზეც უნდა დანერგონ.[16] ამავდროულად, მათ შორის პროფესიული განათლების სისტემაში ჩართული მასწავლებლებისთვის ადამიანის უფლებათა შესახებ განგრძობადი ტრენინგების ჩატარება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.[17]

პროფესიულ განათლებაში ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლების ინტეგრირების თაობაზე იდენტურ მიდგომას ამკვიდრებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის, ევროპის კავშირის საბჭოსა და გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტებიც.[18]

---

[10] შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2023 წლის 13 ივლისის 8218/23 წერილი.

[11] გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ მიღებული 1989 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს მიმართ ძალაშია 1994 წლის 02 ივლისიდან. 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[12] ბავშვის უფლებათა კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[13] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1), The Aims of Education, 17 April 2001, CRC/GC/2001/1, პარ. 18, იხ. https://bit.ly/35oDnM8 [21/08/2023]

[14] იქვე.

[15] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 7 (2005): Implementing Child Rights in Early Childhood, 20 September 2006, CRC/C/GC/7/Rev.1, para. 31, 41. იხ. https://rb.gy/6j6mn [22/08/2023]

[16] Recommendation CM/Rec(2010)7 of the Committee of Ministers to Member States on the Council of Europe Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education Adopted on 11 May 2010 პარ. 6 იხ. https://rb.gy/ox19l [23/08/2023]

[17] იქვე, პარ. 9.

[18] Appendix to Recommendation CM/Rec(2012)13 of the Committee of Ministers to member States on ensuring quality education Adopted on 12 December 2012 პარ.3, 6(d) https://rb.gy/tuj8l [23/08/2023]; Recommendation on High-Quality Early Childhood Education and Care Systems adopted by Council of the EU on 22 May 2019, 2019/C 189/02, რეკომენდაციის სარეზოლუციო ნაწილი პარ. 3 (b), რეკომენდაციის დანართი პარ. 3. https://rb.gy/3i67u [23/08/2023]; Recommendation on vocational education and training (VET) for sustainable competitiveness, social

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ პროფესიული განათლების სისტემას დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ამდენად, პროგრამებში ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის ინტეგრირება სრულფასოვნად შესაძლებელი და აუცილებელია.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჭრილში სახალხო დამცველი ასევე მიუთითებს, რომ აღმზრდელის დამხმარე როლის მიუხედავად, მისი განათლების პროგრამაში ადამიანის უფლებათა შესახებ, ბავშვის უფლებების თაობაზე განსაკუთრებით აქცენტირებული მოდულის ინტეგრირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.[19] აღნიშნულის აუცილებლობაზე დამატებით მეტყველებს აღმზრდელის ვალდებულება, ხელი შეუწყოს ბავშვებს შორის განსხვავებულობის პატივისცემას...სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და თანასწორობას."[20] მეტიც, მოქალაქეობის სწავლების მეთოდოლოგიებზე ცოდნის ეფექტიანად გადაცემისთვის ზემოხსენებულ პროგრამაში შემავალი მოდულის „კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში" სწავლებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის აუცილებელია ადამიანის უფლებათა შესახებ სისტემატიზებული, ბავშვის უფლებებზე განსაკუთრებით აქცენტირებული ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და ჩატარება. სხვა შემთხვევაში, ბავშვის უფლებათა სფეროს განვითარების ტემპის გათვალისწინებით, ამ საკითხების გარშემო მასწავლებელთა შინაარსობრივი ცოდნა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის განათლების მიზნების მიღწევას.[21]

დასკვნა

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ იგი არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ან დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ ზოგად მოდულს. ამდენად, პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ადამიანის უფლებების, დემოკრატიული მოქალაქეობის, ან ბავშვის უფლებათა შესახებ ინფორმაციას არ იღებენ.

ამასთან, პროგრამის სპეციალიზებული/დარგობრივი მოდულების ჩამონათვალში არსებული მოდული „კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში" მოქალაქეობის სწავლების მხოლოდ მეთოდოლოგიურ ასპექტებს მიემართება. სწავლებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის არ არსებობს სისტემური ტრენინგ-პროგრამები ადამიანის უფლებათა შესახებ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ზოგადად, პროფესიული განათლების პროგრამებში ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის ინტეგრირება მნიშვნელოვანია, რადგან მას დიდი წვლილი შეაქვს დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში. თუმცა, აღმზრდელის საგანმანათლებლო პროგრამაში ბავშვის უფლებათა შესახებ მოდულის ინტეგრირება

---

fairness and resilience adopted by Council of the EU on 24 November 2020, 2020/C 417/01, რეკომენდაციის დანართი პარ. 1. https://rb.gy/ayqz2 [23/08/2023]; United Nations Declaration on Human Rights Education and Training adopted on 02 November 2011, A/C.3/66/L.65 მეორე მუხლის მესამე პუნქტი. https://rb.gy/v6j2m [23/08/2023]

[19] ამ საკითხთან მიმართებით იხ. Human Rights Education in Finland Report of Human Rights Center 2014 გვ. 44 https://shorturl.at/DORT6 [22/08/2023]

[20] „ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტის" პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 18 სექტემბრის №594 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ის 7.3. და 7.4. ქვეპუნქტი; „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „გ" ქვეპუნქტი.

[21] გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ მიღებული 1989 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს მიმართ ძალაშია 1994 წლის 02 ივლისიდან. 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

კრიტიკულად აუცილებელია, რადგან არსებული პროგრამა ვერ უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლებაში ჩართული პირებისთვის ბავშვის უფლებათა შესახებ საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი ცოდნის მიწოდებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლებაში ჩართული პირებისთვის ადამიანის უფლებათა სწავლების უზრუნველსაყოფად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს:

- შევიდეს ცვლილება „აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 თებერვლის 192/ნ ბრძანებაში და ზოგად, სავალდებულო მოდულების ჩამონათვალში დაემატოს ბავშვის უფლებები.

გთხოვთ, ამ წინადადების განხილვის შედეგების შესახებ მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.